საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები

2026

02.09.2026
www.geostat.ge

02.09.2026

შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები (2026 წელი)

შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების 2026 წლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ინტერნეტით უზრუნველყოფილია შინამეურნეობების 93.5 პროცენტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.5 პროცენტული პუნქტით აღემატება. ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი საქალაქო დასახლებებში 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 1.5 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად, 96.8 და 89.0 პროცენტი შეადგინა. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და აჭარის ა.რ.-ში დაფიქსირდა და შესაბამისად, 98.2 და 96.3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურ-ნეობების წილი დასახლების ტიპისა და რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №1

ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი, 2026

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 3 თვის განმავლობაში ინტერნეტით ისარგებლა 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 89.6 პროცენტმა, რაც 1.7 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საქალაქო დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 92.9 პროცენტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 83.9 პროცენტით განისაზღვრა. ეს მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 89.7 პროცენტი, ხოლო კაცების შემთხვევაში 89.5 პროცენტია. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა ყველაზე მაღალია 15-29 წლის მოსახლეობაში და 99.6 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 6 წლის და უფროსი ასაკის იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, ვინც ბოლო 3 თვის განმავლობაში გამოიყენა ინტერნეტი.

დიაგრამა №2

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი,
ვინც ბოლო 3 თვის განმავლობაში გამოიყენა ინტერნეტი, 2026
(%)



15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობიდან, რომლებიც ბოლო 3 თვის განმავლობაში სარგებლობდნენ ინტერნეტით, 96.4 პროცენტი ინტერნეტს ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე იყენებდა, 3.4 პროცენტი - კვირაში ერთხელ მაინც, 0.2 პროცენტი კი - უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში ერთხელ.

02.09.2026

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 15 წლის და უფროსი ასაკის იმ მოსახლეობის განაწილება ინტერნეტის გამოყენების სიხშირის მიხედვით, რომლებმაც ბოლო 3 თვის განმავლობაში ისარგებლეს ინტერნეტით.

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ინტერნეტის გამოყენების სიხშირის მიხედვით, 2026

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, ძირითადად ინტერნეტის გამოყენების მიზნებს წარმოადგენდა: სოციალური ქსელების გამოყენება (97.5%), ინტერნეტ (აუდიო/ვიდეო) კავშირი (97.0%), ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა (61.0%), ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (54.5%), საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება (50.2%), ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა (49.0%), ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა (41.7%), პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის ჩამოტვირთვა (15.8%) და სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა (11.5%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო 3 თვეში ინტერნეტის მომხმარებელი მოსახლეობის პროცენტული წილი ინტერნეტის გამოყენების მიზნების მიხედვით.

დიაგრამა №4

სოციალური ქსელების გამოყენება, 2026

ინტერნეტ აუდიო/ვიდეო კავშირი, 2026

პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის ჩამოტვირთვა, 2026

სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა, 2026

15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო 12 თვეში ინტერნეტის მომხმარებელი მოსახლეობის 38.6 პროცენტმა ინტერნეტის მეშვეობით შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი ან მომსახურება. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით: საქალაქო დასახლებებში - 42.7 პროცენტს, ხოლო სასოფლო დასახლებებში 31.0 პროცენტს შეადგენს. სქესის მიხედვით მაჩვენებლის მნიშვნელობები ქალებისათვის 42.5 პროცენტი, კაცებისათვის კი 34.2 პროცენტია. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მაჩვენებლის მნიშვნელობებია: 15-29 წლის ასაკის მოსახლეობაში - 63.0 პროცენტი, 30-59 წლის ასაკის მოსახლეობაში - 39.9 პროცენტი, ხოლო 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში - 17.5 პროცენტი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი ან მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით.

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით, 2026

(%)



15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო 3 თვეში ინტერნეტის მომხმარებელთა 99.8 პროცენტმა გამოიყენა მობილური მოწყობილობა (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, პლანშეტი და ა.შ.) უსადენო ინტერნეტთან დასაკავშირებლად. აღნიშნული მაჩვენებელი ქალებისათვის 99.7 პროცენტს, ხოლო კაცებისათვის - 99.8 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც გამოიყენა მობილური მოწყობილობები უსადენო ინტერნეტთან წვდომისთვის.

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც გამოიყენა მობილური მოწყობილობები უსადენო ინტერნეტთან წვდომისთვის, 2026

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კომპიუტერით უზრუნველყოფილია შინამეურნეობების 57.9 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობამ საქალაქო დასახლებებში 69.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 42.8 პროცენტი. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი თბილისსა და აჭარის ა.რ.-ში დაფიქსირდა და შესაბამისად - 74.1 და 62.1 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი დასახლების ტიპისა და რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №7

კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი, 2026

(%)



6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 49.9 პროცენტმა ისარგებლა კომპიუტერით ბოლო 3 თვის განმავლობაში. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავებულია დასახლების ტიპის მიხედვით: საქალაქო დასახლებებში 57.9 პროცენტია, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 36.2 პროცენტი. ეს მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 49.0 პროცენტს შეადგენს, ხოლო კაცების შემთხვევაში - 50.8 პროცენტს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, კომპიუტერის მომხმარებელთა ყველაზე მაღალი წილი 6-14 წლის მოსახლეობაში დაფიქსირდა და 89.3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ მოსახლეობის წილი, ვინც გამოიყენა კომპიუტერი ბოლო 3 თვის განმავლობაში.

დიაგრამა №8

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც გამოიყენა კომპიუტერი ბოლო 3 თვის განმავლობაში, 2026

(%)



15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო 3 თვეში კომპიუტერის მომხმარებელთა 70.0 პროცენტი კომპიუტერით ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე სარგებლობდა, 19.0 პროცენტი - კვირაში ერთხელ მაინც, 11.0 პროცენტი კი - უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში ერთხელ.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 15 წლის და უფროსი ასაკის იმ მოსახლეობის განაწილება კომპიუტერის გამოყენების სიხშირის მიხედვით, რომლებმაც ბოლო 3 თვის განმავლობაში ისარგებლეს კომპიუტერით.

დიაგრამა №9

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება, კომპიუტერის გამოყენების სიხშირის მიხედვით, 2026

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 93.3 პროცენტი ფლობს მობილურ ტელეფონს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით მეტია. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 0.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 1.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 95.2 და 90.1 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 6 წლის და უფროსი ასაკის იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს.

დიაგრამა №10

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, 2026

(%)



შენიშვნები:

- მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2026 წლის ივნისში;

- ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ: 2 36 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge